

"24 საათის" ფიქციანი ნომერი
***2424**

ამერიკა ავლანელ
ნარკობარონებზე
ნადირობას იწყებს

A4



ვიცნობდით და
გვანსოვდით

A5



რუსები არც
ფახბართში
გვანსვენებენ

A8



24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



შენი სადაზღვევო ჯგუფი

საბჭოური პერიოდის პარკი

დიმიტრი ავალიანი

რატომ არ აღიარებს ბელარუსი, რუსეთის ზეწოლის მიუხედავად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას? ბელარუსი პოლიტიკური მიმომხილველი რომან იაკოვლევსკი "24 საათს" იმის შესახებ ესაუბრა, თუ რა მოტივი უდევს საფუძვლად ბელარუსის ლიდერის ასეთ გადაწყვეტილებას, რა გავლენა იქონიებს რეალური მიზეზი, რა საფრთხეებს ხედავენ ბელარუსში რუსეთის მხრიდან და არსებობს თუ არა პერსპექტივა ქვეყნის დემოკრატიზაციისა და ევროპასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით.

- აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხს ბელარუსის ხელისუფლება ოფიციალურ დონეზე განიხილავდა. თუმცა, დღეს ეს თემა, ფაქტობრივად, დღის წესრიგიდან მოსხნილია. რა არის იმის მიზეზი, რომ განწყვეტილება არ არის მიღებული და როგორია, თქვენი აზრით, ბელარუსის ხელისუფლების პოზიცია ამ საკითხზე?

- პირველ რიგში, ვიტყვი, რომ



რომან იაკოვლევსკი

არ გამართლდა ჩემი პროგნოზი. მე ვამბობდი, რომ ლუკაშენკო ორ რუსულ პროტექტორატს აღიარებს. თუმცა, ლუკაშენკოს

პროგნოზირება, მისი აბსოლუტური ძალაუფლების პირობებში, შეუძლებელია. ყველაფერს წყვეტს სწორედ ლუკაშენკო და არა

პარლამენტი, რომლის რატიფიკაციაც, თითქოს, ამ გადანწყვე-

ბაზრძალაბა A3 გვერდზე

დამხმარებლობა რეფორმების შექმნისთვის იმდენით

დათო ბაჩისონია

გუშინ საქართველოს დამხმარებლობა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის ყოფილი თანაშემწე მეთიუ ბრაიზა. მინისტრებთან და არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ, სახელმწიფო მდივნის თანაშემწის რანგში, მან გუშინ საღამოს უკანასკნელი პრესკონფერენცია "თბილისი მარიოტში" გამართა. ბრაიზას აზრით, საქართველოს სწორი ზოგადი მიდგომები აქვს, როგორც ეკონომიკაში, ასევე პოლიტიკაში, თუმცა ამ ქვეყნის წარმატების საიდუმლო დემოკრატიული რეფორმების გაძლიერებაშია.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის უკვე ყოფილმა თანაშემწემ გუშინდელ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ასეთი შეკითხვა დასვა: "ვის უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში?" პასუხიც თავადვე განმარტა: "სასაცილოდ მეჩვენება, როდესაც ვიკვებ ან ვკითხულობ, რომ ჩვენი ზოგიერთი მეგობარი საქართველოს რადიკალური ოპოზიციიდან აღნიშნავს, რომ მე ან ჩვენ საქარ-



თველოში მხარს ვუჭერთ ერთ ადამიანს. ამიტომ უნდა გითხრათ - აშშ არის საქართველოს თითოეული მოქალაქის და საქართველოს მხარდამჭერი."

ბრაიზას თქმით, "შეერთებული შტატების პოლიტიკა არ არის დაფუძნებული ამა თუ იმ პიროვნებაზე და მის ნიშანთვისებებზე." ამიტომ მეთიუ ბრაიზა

დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები თანდათან უფრო გაძლიერდება.

ბაზრძალაბა A2 გვერდზე

ვიცნობდეთ და გვახსოვდეს

ალექსანდრე კლიმჩუკის ფოტოგამოფენა შარდენზე

სოფო კილასონია



მოზარდმაყურებელთა თეატრთან.

2006 წელს იგი გახდა ფოტოსა-გენტო Caucasus Press Images-ს თანადამფუძნებელი.

ალექსანდრე კლიმჩუკმა სამგობის მოიპოვა "იტარ ტასის" მიერ დაწესებული ჯილდო წლის საუკეთესო ფოტოგრაფისთვის, ხოლო 2007 წელს გაიმარჯვა რუსულ ფოტო კონკურსში სახელწოდებით "ადამიანები ახალ ამბებში".

ეს გამოფენა ბევრი ჩვენთაგანისთვის აღმოჩენაა, იმიტომ არა, რომ ექსპოზიცია კლიმჩუკის მიერ გადაღებულ ომს მძაფრათა და ეფექტურად ასახავს, სულაც არა.

ექსპოზიცია ამ ნიშნით არ აგებულა. ის ჩვენ გვაცნობს ფოტოგრაფს - ადამიანს ომამდე. თავისი განცდებით, ემოციებით, სიყვარულითა და აზროვნებით. ემოციები რომელსაც მასში იწვევდა თბილისი, ოჯახი, მშობლები და საკუთარი ქვეყნის სოცრეალისტური წარსული.

გამოფენა შარდენზე კიდევ ერთი კვირა გაგრძელდება. აუცილებლად უნდა ნახოთ, პირველი იმიტომ რომ ხელოვანი თქვენთვის აღმოჩინოთ, მეორე და უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ ალექსანდრე კლიმჩუკს უნდა იცნობდეთ, იცნობდეთ და გახსოვდეთ!



"ვარზალტიკი" სწრაფად განვითარდა ავიაკომპანია, დაიკავა წამყვანი პოზიციები ბალტიის რეგიონის ზაზარზე. 2008 წელს "ვარზალტიკი" მოემსახურა 2,5 მილიონზე მეტ მგზავრს, რაც 29% მეტია ვიდრე 2007 წელს. "ვარზალტიკი" ოპერაციებს ახორციელებს 2 საკვანძო სატრანზიტო ცენტრის მეშვეობით რიგში და ვილინიუსში. დღისათვის "ვარზალტიკი" დაფრინავს 61 მიმართულებით, მათ შორის 11 მარშრუტი ახალია და გაიხსნა 2009 წლის ზაფხულში. კომპანია ვარზალტიკის სამომავლო საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებით, ვარზალტიკი აცხადებს ვაკანსიას თბილისში:

რეგიონალური გაყიდვების მენეჯერი, საქართველო

ძირითადი მოვალეობანი

- ავიაკომპანია ვარზალტიკის ბილეთების გაყიდვის გაზრდა ტურისტული სააგენტოებისა და სხვა არხების მეშვეობით
- კორპორატიული და ტურისტული ბიზნეს შექმნა
- ვარზალტიკის რეგულარული ფრენების შესახებ ბლოკ შეთანხმებების ინიცირება და გაფორმება
- ადგილობრივი ტურისტული აგენტებისაგან ბილეთების ჯგუფური დაჯავშნების ზრდის უზრუნველყოფა
- ტურისტულ სააგენტოებში სემინარებისა და პრეზენტაციების ინიცირება და ორგანიზება
- ტურისტულ პარტნიორებთან ბილეთების გაყიდვებთან დაკავშირებით რეგულარული ყოველდღიური შეხვედრების ორგანიზება შესაბამის რეგიონში
- ბილეთების გაყიდვების შესახებ ყოველთვიური ანგარიშების და სხვა მოთხოვნის თანახმად ანგარიშების მომზადება
- ადგილობრივი ავიაბიზნეს ზაზარზე ბილეთების გაყიდვასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციების შესახებ ინფორმაციის მომზადება
- ვარზალტიკის მგზავრებისთვის დახმარების გაწევა ყველა იმ შესაძლო საკითხებში რომლებზეც ავიაკომპანიის საკმარისობასთან არის დაკავშირებული და შესაბამის კომპანიის პოლიტიკას
- ვარზალტიკის კომპანიის მომუშავე პერსონალის მაღალი პროფესიონალური დონის უზრუნველყოფა საქართველოში

მოთხოვნები

- ანალიტიკური აზროვნებისა და კომუნიკაბელურობის კარგი უნარები
- დამაჯერებლობა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძობა
- ავიაციის დარგში ბილეთების გაყიდვის გამოცდილება და საქართველოს ტურისტული ბაზრის ცოდნა
- საკუთარ თავზე ინიციატივის აღება და როგორც ინდივიდუალურად ასევე გუნდში მუშაობის უნარი შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობის გამოყენება
- ქართული, ინგლისურისა და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა როგორც წერილობით ასევე სალაპარაკო დონეზე. სხვა ენების ცოდნა განიხილება როგორც დამატებითი უპირატესობა

მომხმარებელთან მუშაობისა და ბილეთების გაყიდვის სპეციალისტი თბილისში, საქართველო

მოვალეობანი

- მომხმარებელისათვის ფრენებისა და გაყიდვების შესახებ ინდივიდუალურად, სატელეფონო, ფაქსიმილური და ელ ფოსტის მეშვეობით ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა
- ფრენების დაჯავშნისა და ბილეთების გაფორმების უზრუნველყოფა ვარზალტიკის პროცედურების თანახმად ჯგუფური მოთხოვნების შესრულება
- ყოველდღიური ანგარიშების მომზადებაში დახმარების გაწევა

მოთხოვნები

- ძლიერი კომუნიკაბელურობის უნარ-ჩვევები ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობაზე პასუხისმგებლობის აღების უნარი
- ქართულის, ინგლისურისა და რუსულის სრულყოფილი ცოდნა. სხვა ენების ცოდნა განიხილება როგორც დამატებითი უპირატესობა
- საავიაციო და ტურისტულ სააგენტოებში მუშაობის შესაბამისი გამოცდილება. ამაღელვების სარეზერვაციო სისტემის ცოდნა განიხილება როგორც დამატებითი უპირატესობა.

ვარზალტიკი სთავაზობს:

- მუშაობის განვითარება და თანამედროვე ევროპულ კომპანიაში
- სოციალურ გარანტიებს და კონკურენტუნარიან საკომპენსაციო პაკეტს
- შედეგებს, რომლებსაც ავიაციის ინდუსტრიასთან დაკავშირებულია

თუ გნებავთ შეუერთდით ჩვენ საერთაშორისო კომპანიას გთხოვთ მოგაწოდოთ თქვენი სრული ავტობიოგრაფიის ტექსტი და CV ინგლისურ ენაზე 2009 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით შემდეგ მისამართზე cv@airbaltic.com www.airbaltic.com



airBaltic is market leader and fastest growing airline in Baltics. In 2008, airBaltic carried more than 2,5 million passengers, an increase of 29% over the number in 2007. airBaltic operates out of 2 hubs Riga and Vilnius. In the summer of 2009, airBaltic has already added 11 cities to its destination map and now operates direct flights to 61 destination. In connection with further business expansion, airBaltic announces vacancies in Tbilisi of:

Area Sales Manager, Georgia

Main duties:

- Increasing airBaltic sales in Travel agencies and other Sales channels
- Acquisition of corporate and leisure business
- Ensure growth of incoming group bookings from local travel agents
- Initiate and conclude block agreements on airBaltic regular flights
- Initiate, prepare and hold seminars, workshops and presentations in travel agencies
- Regular daily sales visits to all travel partners in respective region
- Preparation of monthly sales reports and other requested reports
- Follow up on - sales performance, development and trends on the local airline market
- Assistance to airBaltic passengers in all possible situations connected with the airline's activities and according to the company's policy
- Maintain high professional level of airBaltic staff in Georgia

Requirements:

- Excellent analytical and communication skills
- Strong self - confidence and sense of responsibility
- Experience in airline sales and knowledge of Georgia travel market
- Ability to take initiative, work independently and in a team
- Result driven attitude
- Fluency in written and spoken Georgian, English and Russian, other languages will be considered a plus

Customer Service and Ticketing Specialist in Tbilisi, Georgia

Duties:

- Provide customers with flight and sales information personally, via phone, fax and e-mail
- Make flight reservations and issue tickets in accordance with airBaltic procedures
- Handle group requests
- Assist to daily reporting procedures

Requirements:

- Positive attitude and strong communication skills
- Ability to take responsibility working in team and individually
- Fluent in Georgian, English and Russian, other languages will be considered a plus
- Relevant experience in airline or travel agency as well as knowledge of AMADEUS reservation system would be as an advantage

airBaltic offers:

- Working in a developing and innovative European company
- Social guarantees and competitive compensation package
- Benefits associated with airline industry

To join our exciting international company, please send your complete CV and application letter in English to cv@airbaltic.com by August 23, 2009. www.airbaltic.com



ბეტონშემრევი: BMC PRO 935 FTE 8X4

მიწოდების ვადა 1 დღე

BMC

ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
 მწარმოებელი: BMC
 მოდელი: BMC PRO 935 FTE
 მოცულობა: 10 მ.3
 ძრავი: Cummins C 350-20
 (Euro2) Turbo Intercooler
 სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
 გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
 ბეტონშემრევი დანადგარი: LIEBHERR
 გარანტია: 1 წელი
 მიწოდების ვადა: 1 დღე



ქ. თბილისი, ლ. ალექსანდრის ხეივანი მე-12 კმ.
 ☎ 24-47-44, ☎ 24-47-44 (1219)

TEGETA TRUCK & BUS LTD

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ტ ე ნ დ ე რ ი ს რ ა ტ ა რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მდებარე ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად, აცხადებს ღია ტენდერს მის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების (სერვისი - სათადარიგო ნაწილები) შესყიდვაზე 2 ლოტად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ინვესტორს ყველა დაინტერესებულ პირს.

1 ლოტი - სამინისტროს ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) ერთეული ავტომანქანა, მერსედეს-ბენც E-280 (სამინისტროს ცენტრალურ აპარატის სარგებლობაში მყოფი) მომსახურების განვეის ადგილი - ქ. თბილისი

II ლოტი - სამინისტროს ბალანსზე რიცხული 2 (ორი) ერთეული ავტომანქანა (სამინისტროს ტერორული ორგანოების სარგებლობაში) ვაზ 21-21(ნივა)-ის მომსახურების განვეის ადგილია - ქ. თბილისი, ხოლო ვაზ 31-10 (ვოლგა)-ის მომსახურების განვეის ადგილია - ქ. ოზურგეთი.

2. მომსახურების განვეის სავარაუდო ვადა არის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გასანვივი მომსახურების დეტალური აღწერა მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 2 სექტემბრის 10:00-დან 17:00-საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 1-ლი სართული, ოთახი N106-107. სატენდერო წინადადების წარმოდგენა დასაშვებია როგორც ერთ, ასევე ორივე ლოტზე. გამარჯვებული გამოვლენილი იქნება თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
- ა) ტენდერში მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
 - ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, (იურიდიული პირის შემთხვევაში);
 - გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
 - დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე

არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ;

ვ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრედენდენტიარ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

ზ) ინფორმაცია შესასყიდი მომსახურების სფეროში განუვლი საქმიანობის შესახებ;

თ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

5. შერჩევის ეტაპზე შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება განცხადების მე-4 პუნქტში მითითებული ინფორმაცია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და ასევე "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-3 პუნქტით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტსა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ყველა შესაბამის დოკუმენტსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

7. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლება 2009 წლის 11 აგვისტოდან 1 სექტემბრის 18:00-მდე სამუშაო საათებში (შაბათ-კვირის გარდა), მარშალ გელოვანის გამზ. №6, 1-ლი სართული, ოთახი N106-107.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302004400, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი, ს/კ 203843010.

9. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ ნებისმიერ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას სამინისტროს შენობაში-მარშალ გელოვანის №6, სახელმწიფო შესყიდვებისა და ქონების მართვის სამმართველო, ოთახი N106-107.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 1-ლი სართული, ოთახი N106-107. ტელ. 378012.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო კომისია

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აუქციონის ჩატარების შესახებ

გორის საგადასახადო ინსპექცია 2009 წლის 11 სექტემბერს, დღის 12:00 საათზე ქ. გორში, სამეფოს ქ. №50-ში შპს იყაზბევი თეძამი-ს (ს/ნ 232577949) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს ღია აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

1. არასასოფლო მიწა 11500 კვ.მ - 34500 (ოცდაათობმეტი ათას ხუთასი) ლარი
2. საყარაულო შენობა 9 კვ.მ - 90 (ოთხმოცდაათი) ლარი
3. საკაფეო შენობა 32 კვ.მ - 960 (ცხრაას სამოცი) ლარი
4. საძროხე შენობა 280 კვ.მ - 2240 (ორი ათას ორმოცი) ლარი
5. სალონე შენობა 400 კვ.მ - 3200 (სამი ათას ორასი) ლარი
6. შენობა ტბაზე 224 კვ.მ - 26880 (ოცდაექვსი ათას რვაას ოთხმოცი) ლარი

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს - 67870.00 (სამოცდაშვიდი ათას რვაას სამოცდაათი) ლარი.
 ქონება მდებარეობს მისამართზე - კასპის რაიონი, სოფ. ახალქალაქი

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებული არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარუდგინონ გორის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადებოზიტო ქვეანგარიშზე (302006000) წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შექენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დაჩრეხილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, გორის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.

დანვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ გორის საგადასახადო ინსპექციას.

ან ენვეთ ვებ გვერდს მისამართზე: www.auction.gov.ge
 მისამართზე: ქ. გორი, სამეფოს ქ. №50.
 ტელ: 822 26-22-76; 822 26-18-58.

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

ცვლილება „ავტოსატრანსპორტო საშუალებების“ შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის განცხადებაში

2009 წლის 28 ივლისს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ „ავტოსატრანსპორტო საშუალებების“ შესყიდვის მიზნით, გაზეთ „24 საათში“ (№167) გამოცხადებულ ტენდერის განცხადებაში, მე-2 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

№	შესყიდვის ობიექტი	განზ-ების ერთეული	რაოდენობა	მიწოდების ადგილი
1	<ul style="list-style-type: none"> მსუბუქი-ოთხკარიანი, სედანის ტიპის; ძრავის მოცულობა 1800 კბ.სმ ძრავის ტიპი - ტურბო; საწვავის ტიპი - ბენზინი; სინქრონის გადაცემათა კოლოფი - მექანიკა (მოჭიდების დისკო, მოჭიდების ქურო, მქნევარა) ამპრაფი თვლები - წინა; ფერი - ვერცხლისფერი მეტალიკი; გამოშვების წელი - არანაკლები 2009 წლისა. 	ცალი	30	ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, №38

ასევე შენიშვნის სახით დაემატოს:

- არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დაბეჭდილი თარგმანის სახით.

ჰაიდელბერგსემენტი HEIDELBERGCEMENT

შპს "ჰაიდელბერგსემენტი კავკასუსი" აცხადებს ფასთა გამოკითხვას:

კასპის ცემენტის ქარხნისთვის ელექტრონის ციცივის (კოვში) დამადასტურებელი (თანდართული ნახაზების მიხედვით, რაოდენობა 100 ცალი).

მონაცემების ნალება შეგიძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე:

მელიქიშვილის გამ. N16, თბილისი, საქართველო

ტელ: + 995 77 57 75 12
+ 995 32 47 47 47
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com
თამარ დარახველიძე
წინადადებების მოწოდების ბოლო ვადა: 2009 წლის 17 აგვისტო.

შ.პ.ს. "ბლიქ სი ბრუკი", აცხადებს ტენდერს

ხერთვისი-ვარძიის საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიაზე, დამტვრეული ფრაქციული ინერტული მასალის დამზადებაზე

ლორლი ფრაქციით 0-40 მმ 25000 მ3,
ლორლი ფრაქციით 0-31,5 მმ 15000 მ3.

დამზადებული პროდუქცია ვარგისი უნდა იყოს საავტომობილო გზის საფუძველში გამოსაყენებლად (ლორლის ფრაქციული შემადგენლობა, ცვეთამდეგობა, სიმტკიცე და სხვა) და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს საგზაო მშენებლობისათვის.

გამოხმაურების ბოლო ვადა: 15.08.2009
საკონტაქტო პირი: ვარძიაში: თემურ რეხვიასვილი 877-99-03-59; ხოსპოს ბაზაზე: ოთარ ნულუკიძე 877-90-60-60
ელ.ფოსტა: tsulukidze@papenburg.ge

თბილისის ოფისი; 20-74-74/75

ანგარიში (სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ)

სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა "ფრინველისა და პანდემიურ გრიპზე ებიდზედამხედველობა და რეაგირება ჯანმრთელობის ეროვნული ორგანოების მიერ აშშ-ს ფარგლებს გარეთ" პროექტის ფარგლებში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ნ თვის განმავლობაში განახორციელა მომსახურებისა და საქონლის რიგი შესყიდვები:

- ტენდერის საშუალებით განხორციელდა *ლაბორატორიული აღჭურვილობისა და ინვენტარის* შესყიდვა. 1.04.096 გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს. "ლასკარ-იმპექს"-თან, რომლის ღირებულებაც შეადგენს 111,200.00 ლარს.
- ფასთა კოტირების საშუალებით განხორციელდა *სახარჯი მასალებისა და რეაგენტების* შესყიდვა. 18.03.096 გაფორმდა 3 ხელშეკრულება - შ.პ.ს. "ლასკარ-იმპექს"-თან სახელშეკრულებო ღირებულებით 73,924.00 ლარი, შ.პ.ს. "იმუნა"-სთან 1,500.00 ლარი, შ.პ.ს. "ჯი-პი-სი"-სთან 2,130.00 ლარი.
- ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით განხორციელდა ისეთი შესყიდვები როგორც: მცირე სარე-მონტო სამუშაოების წარმოება, ლაბორატორიული აღჭურვილობის, თხევადი აზოტის, მეტალო-პლასტიკის კარ-ფანჯრების და მწერებისაგან დამცავი ბადის, პორტატული კომპიუტერის, კომპიუტერის და პორტატული კომპიუტერის, კონდენციონერის, საოფისი ინვენტარის, სხვადასხვა ნომინალის მობილური კავშირგაბმულობის - "მონი"- ბარათების, მედიკამენტის, თერმოსების, მიმდინარე ავტორემონტის, ბეჭდვითი მომსახურების, სწრაფი გადაზიდვების და ასევე საავტომობილო დაზღვევის შესყიდვა. შედეგად გაფორმებულ იქნა 18 ხელშეკრულება საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 55,901.06 ლარი.

სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისის ქუჩებზე დაზიანებული ქვაფენილის მიმდინარე შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტი - ქ. თბილისის ქუჩებზე დაზიანებული ქვაფენილის მიმდინარე შეკეთება - 3850 მ2. **შესრულების საგადასახადო ვადა - ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.**

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენილი დედნის ან ნოტარიულად დამონშებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 31 აგვისტოს 11:00 საათიდან 2009 წლის 31 აგვისტოს 16.30 საათამდე, მისამართზე: **ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.**

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- 3.1 იურიდიული პირისათვის:**
- ა) ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან;
 - ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
 - გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
 - დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადალის) არარსებობის შესახებ.
 - ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
- 3.2 ფიზიკური პირისათვის:**
- ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
 - ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

- 3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**
- ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
 - ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;
 - გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მინორების შესახებ;
 - 4. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვა-

ლიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

შენიშვნა: *სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;*
ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაამდე.

6. სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, **ქ. თბილისის ქუჩებზე დაზიანებული ქვაფენილის მიმდინარე შეკეთების სამუშაოების** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 11 აგვისტოდან 2009 წლის 31 აგვისტოს 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

11. შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამონშებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, ცირა მალრაქი, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

სატენდერო კომისია

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს ონის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში მყოფი ავტოანქანების: "მიცუბიში პაჯერო", GTR-554, ვაზ 21213 და "მერსედეს ბენცი 22 ", პრივატიზების მიზნით

N#	დასახელება	გამოშვების წელი	საწილის გასაყიდი ფასი(დოლარი)	"ბიჯი" (დოლარი)	"ბე" (დოლარი)
1	"მიცუბიში პაჯერო"	1993	4298	100	429
2	"ვაზ 21213"	1999	900	50	90
3	"მერსედეს ბენცი 22OE"	1992	2702	100	270

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:
 აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს ან ამ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.
 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ დასახელებული საბოლოო გამოსასყიდი თანხა.
 აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი ვალდებულია აუქციონის რეგისტრატორს წარმოუდგინოს:
 1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი.

- "ბე" გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
- აუქციონში მონაწილეობის ბილეთის ფასის (5ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსერო ასლი.
- იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლებს (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ბოლო მდგომარეობით)
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონი ჩატარდება ინფორმაციის გახეობაში გამოქვეყნებიდან 30-ე კალენდარულ დღეს (7 აგვისტოს) აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწილის გასაყიდი ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

აუქციონის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურს მისამართზე: ქ. ონი, დ. აღმაშენებლის მოედანი №1.

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახური

ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო (მის. ქ. თბილისი, გულუას ქ. №6) აცხადებს ორ ლოტიან ტენდერს სპეც. ტანსაცმლის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.
- შესყიდვის ობიექტებია:

ლოტი №	დასახელება	კომპლექტის შემადგენლობა	კომპლექტის რაოდენობა
1	სპეც. ტანსაცმელი „რეინჯერების უნიფორმა“	ქურთუკი – ზამთრის	82
		ქურთუკი – ზაფხულის	157
		კილეტი	121
		საწვიმარი ლაბადა	81
		საწვიმარი შარვალი	81
		შარვალი – ზამთრის	83
		შარვალი – საზაფხულო	202
		პერანგი – ზამთრის (გრძელმკლავიანი)	135
		პერანგი – ზაფხულის (მოკლემკლავიანი)	134
		ქუდი – ზამთრის	82
2	სპეც. ტანსაცმელი „მეხანძრის უნიფორმა – ტყის ხანძარებისათვის“	ქურთუკი	33
		შარვალი	
		ქამარი	
		ცეცხლგამძლე მაყაყეკლიანი ფეხსაცმელი	
		ხელთათმანი	
		პერანგი	
		ნაფხურტი	
		სათვალე	
		ფანარი	
		ქურთუკი	

შენიშვნა:
 - პირველ ლოტში უნიფორმის ზომების აღება უნდა მოხდეს: თბილისში, ლავოვსში, ალვანში, დედოფლის წყაროში, ბორჯომში, ხარაგაულში, წყალტუბოში, ჩაქეში და ქობულეთში;
 - პირველი ლოტით გათვალისწინებული საქონლის ზომები და ფერი უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან;
 - პირველი ლოტის დიზაინი უნდა შესრულდეს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის 2008 წლის 1 აპრილის №5ა /11 §1 ბრძანებით დამტკიცებული ნიმუშების შესაბამისად.
 - მე-2 ლოტის გათვალისწინებული საქონლის ზომები და ფერები უნდა დაზუსტდეს დამკვეთთან.

3. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა.

საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გულუას ქ. №6.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის განბაჟება და გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადი.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2009 წლის 10 სექტემბრის 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მისაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174, გადახდის დანიშნულება – სატენდერო მისაკრებელი, ს.ს.ი.პ. დაცული ტერიტორიების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გულუას ქ. №6, მე-5 სართული, ს.ს.ი.პ. დაცული ტერიტორიების ეკონომიკური სამსახური.

- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 11 სექტემბრის 16 საათამდე, განცხადების მე-4 პუნქტში მითითებულ მისამართზე. **დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.**

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 6.1. იურიდიული პირისათვის:
 - შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);
 - სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);
 - ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
 - ცნობა სასამართლოდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
 - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

6.2. ფიზიკური პირისათვის:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- დოკუმენტი გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირების შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);
- ცნობა სასამართლოდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ორ ეგზემპლარად: ერთი ეგზემპლარად ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მეორე – ქსეროასლის სახით.

8. მე-4 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადები არ მიიღება.

10. განცხადების 6.1. და 6.2. პუნქტებში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

11. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან მეტი გამარჯვებული.

12. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის (სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის (ხელშეკრულების 2%-ის ოდენობით) მექანიზმი, საბანკო გარანტიის სახით.

13. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მისაკრებლის გადახდამდე, შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მისამართზე: ქ. თბილისი, გულუას ქ. №6, მე-5 სართული, ს.ს.ი.პ. დაცული ტერიტორიების ეკონომიკური სამსახური.

14. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-12 პუნქტითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები/დოკუმენტები შემდგომ დაზუსტებას/შეცვლას არ ექვემდებარება.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ეკონომიკური სამსახურის მთავარი სპეციალისტი რუსუდან კაპანაძე. ტელ: (822) 75 23 52; 895 25 70 40; შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გულუას ქ. №6, მე-5 სართული, ს.ს.ი.პ. დაცული ტერიტორიების ეკონომიკური სამსახური.

სატენდერო კომისია

ბანკსადასტურებელი ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილის-ში, საცხოვრებელი სახლების (შენობის) გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტი - ქ. თბილისში, საცხოვრებელი სახლების (შენობის) გამაგრება-გაძლიერება;

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 (ორი) ლოტად:

ლოტი N1 - ქ. თბილისში, მგალობლიშვილის ქ. N3-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის I სადარბაზოს გამაგრება-გაძლიერება;

ლოტი N2 - ქ. თბილისში, იოსებძის ქ. N64-ში მდებარე 3 სართულიანი საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერება;

შესრულების სავალდებულო ვადა: ლოტი N1; N2 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვე;

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 31 აგვისტოს 11:00 საათიდან 2009 წლის 31 აგვისტოს 17:15 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ოთახი N8 ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

3.1 იურიდიული პირისათვის:

- ა) ამონაწერი სამენარმო რეესტრიდან;
- ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმის წარმოება;
- გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.
- ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

3.2 ფიზიკური პირისათვის:

- ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმის წარმოება;
- ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:

- ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
 - ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;
 - გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მინოდეების შესახებ;
4. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის

დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;

შემოთავაზებული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში, საცხოვრებელი სახლების (შენობის) გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების (2 ლოტანი) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 11 აგვისტოდან 2009 წლის 31 აგვისტოს 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

11. შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, ცირა მალრაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

სატენდერო კომისია

შპს “საქართველოს რკინიგზა” 2009 წლის 11 აგვისტოდან აცხადებს ტენდერს ელექტროჯაგრის შესყიდვის შესახებ

შპს “საქართველოს რკინიგზა” (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ელექტროჯაგრის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი “რესპუბლიკა” ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 11 აგვისტოდან 2009 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტო.

2. შესყიდვის ობიექტი :

ლოტის №	საქონლის დასახელება და მახასიათებლები	ერთ.	რაოდ.
1	ელექტროჯაგრისი 10*25*56 ან 10*25*60	ცალი	1080

3. მიწოდების ადგილი და პირობა: DDP თბილისი;

4. მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვის განმავლობაში

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ (დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე) ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის :

- 1. ამონაწერი სამენარმო რეესტრიდან, რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;
- 2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმის წარმოება, რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;
- 3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

ფიზიკური პირისათვის :

- 1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმის წარმოება, რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;
- 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- 3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
- 4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

7. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :

- 1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. **(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)**
- 2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ-ს გარეშე;** უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;
- 3. გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

